„ფუნდამენტურ მეცნიერებაში შედეგს არ აქვს მკვეთრად გამოხატული მატერიალური ღირებულება, ჩვეულებრივ ის მრავალი წლის შემდეგ გაირკვევა. ამდენად მისი შეფასება ხდება სპეციფიური ხერხებით - პუბლიკაციები, ციტირებები, ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში, ... და არა დღეს მოტანილი მატერიალური ეფექტით„

აი, ასეთი არგუმენტები მომყავს ხოლმე როცა მეცნიერების ორგანიზაციის სპეციალისტებს ვეკამათები. ჰოდა ახლა ვხედავ, რომ თურმე ვდემაგოგობ! ჩვენთან, საქართველოში, კოლეგებმა ბუნებრივად აღმოაჩინეს ნახსენები პარამეტრების იოლად მართვის გზები (ტყუილად ხომ არ ჰქვიათ მეცნიერები!). ეს ტექსტი შეგიძლიათ ჩათვალოთ მოკლე სახელმძღვანელოდ

როგორ გავხდეთ საქართველოში ცნობილი მეცნიერი

1 . პუბლიკაციები. როგორც წესი მეცნიერების მმართველ მენეჯერებს პირველ რიგში ციფრები აინტერესებთ, რადგან პუბლიკაციის ხარისხის და მნიშვნელობის შეფასება არ შეუძლიათ. ამიტომ გამოიყენეთ ყველა საშუალება, რომ თქვენი პუბლიკაციების რიცხვი განუხრელად იზრდებოდეს:

გააგზავნეთ სტატიები ყველა კონფერენციაზე, იმის მიუხედავად აპირებთ თუ არა მონაწილეობას, თეზისები ხომ მაინც დაიბეჭდება;

განსაკუთრებით მომგებიანი საიუბილეო კრებულები, იქ წარდგენილი ნაშრომების რეცენზირება თითქმის არასოდეს არ ხდება;

მიაწერეთ თქვენი გვარი თქვენი ყველა თქვენი დოქტორანტის და ყველა თქვენი ხელქვეითის პუბლიკაციას, უარს ხომ ვერ გეტყვიან;

გამოიყენეთ ჩვენში არსებული უებარი საშუალება - ჟურნალი „ინტელექტუალი“ თუ „ჭკუის კოლოფი“, ახლა არ მახსოვს ზუსტად რა ჰქვია. პუბლიკაცია იქ 20 -30 დოლარი ღირდა რამდენიმე წლის წინ, ახლა, ალბათ, გაძვირდებოდა. ისე, ერთი ავტორეფერეტი მაქვს ნანახი, 30 პუბლიკაციიდან 29 ამ „ჭკუის კოლოფი“-დან იყო.

და საერთოდ, სჯობს საკუთარი ჟურნალი დააარსოთ, ეს ძალიან ადვილია. არ აქვს მნიშვნელობა ტირაჟს, გავრცელებას, თუნდაც სულ ხუთიოდე ეკზემპლიარი იყოს. ადმინისტრაციებს ძალიან სიამოვნებთ ეს ამბავი.

2 . ციტირებები. არ გაგიკვირდეთ და ამ პარამეტრით მანიპულირებაც შეიძლება.

ზოგი საიტი არ გამოჰყოფს თვითციტირებებს, ამიტომ ასეთი ხერხი გამოდგება: ვთქვათ გაქვთ n სტატია. პირველში, ცხადია, თვითციტირება ვერ იქნება, მაგრამ აი მეორეში გააკეთეთ ციტირება თქვენი პირველი სტატიისა, მესამეში - ორი ციტირება, ერთი პირველის , მეორე - მეორესი, მესამეში ... მიხვდით? კარგია, ე.ი. რამდენი თვითციტირება გამოდის?

$$1 + 2 + 3 + \cdots + (n - 1),$$

ეს კი, ვინც არ იცის, არითმეტიკული პროგრესიაა და მისი ჯამი გამოითვლება ცნობილი ფორმულით $S_{n-1} = \frac{(n-1)n}{2}$. მაგალითად, თუ $n = 50$ სტატია გაქვთ (ეს კი არ გაგიჭირდებათ, თუ პირველ პუნქტში მოცემულ რჩევებს იყენებთ) მაშინ დაგიგროვდებათ

$$S_{49} = \frac{49 \cdot 50}{2} = 1225$$

ციტირება! და ეს მხოლოდ თვითციტირებებია, მაგრამ ამას ვინ გაიგებს!

ახლა ამას დაუმატეთ თქვენი სტატიების ციტირებები სხვების ნაშრომებში, რომელთა მიღწევის გზებს ახლა აღვწერ: გახსოვთ, ყველა თქვენი მოწაფე და ხელქვეითი თანაავტორად გასახელებდათ (იხ. პუნქტი 1). მაგრამ მათ ხომ აქვთ თავისი, ან სხვა თანაავტორებთან ერთად შესრულებული ნამშრომები, ჰოდა თხოვეთ მათ (ისევ, უარს ხომ ვერ გეტყვიან) გააკეთონ ციტირებები ყველა თქვენს ქრონოლოგიურად უფრო ადრინდელ სტატიაზე. ჰოდა, წარმოგიდგენიათ როგორ გაიზრდება ის 1225 თვითციტირება!

3 . საერთაშორისო კონტაქტები. ზემოთ აღწერილი პუბლიკაციებით ჟურნალ „ჭკუის კოლოფში“ ან „ქობულეთის კონფერენციის პროსედინგებში“ საერთაშორისო ცნობადობას ვერ მიაღწევთ. ამისათვის სხვა ხერხები არსებობს.

დარეგისტრირდით უცხოეთში დაგეგმილ კონფერენციაზე, ცხადია, არა მოწვეულ, არამედ Conference Fee-ს გადამხდელ მონაწილედ პოსტერ-მოხსენებით. ასეთ გადამხდელ მონაწილეს ისინი სათანადო მოწვევას სიამოვნებით გამოუგზავნიან. და, იმედია, ამ ინგლისურ მოწვევას თქვენი დაწესებულების ადმინისტრაცია ბოლომდე არ წაიკითხავს და დაგაფინანსებთ. ან შეიტანეთ განაცხადი რუსთაველის ფონდში საკონფერენციო გრანტზე, იქ პოსტერ-მომხსენებლებს ხშირად აფინანსებდნენ, ყოველ შემთხვევაში აქამდე ასე იყო. და გზა საერთაშორისო ცნობადობისკენ უკვე გაკვალულია, ყველაფერი თქვენს მარიფათზეა დამოკიდებული - უცხოელი

კოლეგის რესტორანში დაპატიჟება, ჩვენებური სუვენირები - ღვინო, კონიაკი, ჩურჩხელა, ... მოკლედ ეს ჩვენ არ გვესწავლება.

არის კიდევ ერთი ძალიან ეფექტური გზა - კონფერენციის მოწყობა. გამოაცხადეთ წარმომადგენლობით კონფერენცია ჩვენთან, სადმე კარგ ადგილზე - ქობულეთი, ლოპოტა, ბაზალეთი, გუდაური, დაუგზავნეთ მოწვევები უცხოლე კოლეგებს, მიიღეთ მათი თახმობები და შემდეგ მიმართეთ თქვენს დაწესებულებას, რუსთაველის ფონდს, სამინისტროს, ან, სჯობს, ყველას ერთად დაფინანსების თხოვნით. რამე გამოვა. და შემდეგ ყველა აქ ნამყოფი უცხოელი კოლეგა სიამოვნებით მიგიწვევთ თავის კონფერენციებზე.

4 . საერთაშორისო აღიარების დამადასტურებელი ინფორმაცია. ამ ხერხსაც აღვწერ, თუმცა არ ვიცი, იმუშავებს თუ არა. ვიცი შემთხვევები, როცა არ იმუშავა, ვერ მოახდინა ეფექტი წინა პუნქტებში ნახსენებ პარამეტრებთან შედარებით. ეს არის ასეთი რამ - კოლაჟი თქვენი ნაშრომების საერთაშორისო აღიარების შესახებ. აი, რას გვულისხმობ:

მოძებნეთ ინტერნეტში მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების გამონათქვამები თქვენი ნაშრომების შესახებ;

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დამკვიდრებული თქვენი სახელის მატარებელი თეორემები, ფორმულები, კანონები, ეფექტები, ... ;

ციტატები უცხოეთში გამოცემული ენციკლოპედიებიდან, მონოგრაფიებიდან, ცნობარებიდან, სადაც თქვენ ხართ ნახსენები;

ცნობები, რომლებიც ადასტურებენ თქვენს არჩევას საერთაშორისო ინსტიტუციებისა თუ საზოგადოებების წევრად;

ცნობები თქვენი საერთაშორისო სამეცნიერო ჯილდოების შესახებ;

ცნობები, რომლებიც ადასტურებენ თქვენს მიწვევებს უცხოურ სამეცნიერო ცენტრებში ერთობლივი სამეცნიერო კვლევებისა თუ ლექციების ციკლებისათვის;

მოკლედ, ასეთი რაღაცეები, რასაც იპოვით. მაგრამ მხოლოდ ის პარამეტრები, რომლებიც თვენგან არ იმართება, არაჩაწყობადია, ჩვენებურად რომ ვთქვათ.

ეს ხერხი, რა თქმა უნდა თუ სათანადო მონაცემები გაქვთ, კარგად სჭრის, როდესაც საკითხს ადმინისტრაცია წყვეტს. მაგრამ აი თუ კოლეგა მეცნიერები, მაშინ არავითარ

შემთხვევაში არ გირჩევთ მის გამოყენებას! გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პირველ რიგში შურს იწვევს და შესაბამისად უარყოფით რექციას.